უწმიდესო და უნეტარესო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქო, ჩვენო ძვირფასო მოწაფევ, ეფრემ!

გულმხურვალედ მოგესალმებით და მამაშვილურად გეამბორ-ებით. თქვენ ჩემ ყოფილ მოწაფისათვის გერონტი ჯიბლაძისათ-ვის დაგიბარებიათ:" თუ რამე ესაჭიროება იპოლიტეს მაცნობო-ს". უსათუოდ თქვენ გულისხმობდით ამ ფრაზაში, თუ რამე მესაჭიროებოდა მე, თქვენს ღრმა მოხუცებულ მასწავ-ლებელს, პირადად მოთანაგრძნობდით და დამეხმარებოდით. მად-ლობა, მე ვერ ვიტყვი, რომ სრულყოფილად კმაყოფილი ვიყო ოჯახური პირობებით და საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწე-ობით და ამისათვის ბედნიერი იყოს ჩემთვის ვინმეს დახმა-რება, მით უმეტეს თქვენი, მაგრამ ჯერჯერობით მე არ მსურს თქვენი შეწუხება!

ერთი თხოვნით კი მოგმართავთ და იმედია ამ თხოვნას შეასრულებთ, როგორც საქართველოს ეკლესიის და ქართული სა-სულიერო და თარგმნილი ლიტერატურის გულწრფელი მოყვარული და ავტორიტეტიანი დამფასებელი. ეს საქმე, თუ იგი შესრულდა, დიდი ისტორიული მნიშვნელობის იქნება, რომელიც თქვენ სა-ხელთან და პატრიოტულ მოღვაწეობასთან სამარადისოდ იქნება დაკავშირებული!

საქმე შემდეგშია: თბილისის სასულიერო სემინარიის ყვე-ლა ყოფილ მოწაფეს, რასაკვირველია, ესმოდა და დღესაც ეს-მის თუ რა დიდი ისტორიული მნიშვნელობის იყო მათი გამზრ-დელი ა ლ მ ა მ ა ტ ე რ ი!

ყველა მისი ყოფილი მოყვარული მოწაფისათვის, სამწუხაროდ, ეს სასწავლებელი მენშევიკების დროს ლიკვიდირებული იქნა და გადაკეთდა მერვე გიმნაზიად 1919 წელს. ეს აქტი უდრი-და ქართულ ეროვნულ შეგნების ერთი დიდი ნაკადის ამოშრობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე გულისყურით გამოვეხმაურე ამ ფაქტს და შეძლებისდა-გვარად მოვხაზე და გავარკვიე ამ სასწავლებლის არსებობის უდიდესი მნიშვნელობა, მოვათავსე გაზ. "საქართველოში", 1919 № 110 წერილი სათაურით: "ისტორიული სასწავლებელი" /თბილისის სემინარია/.

გიგზავნით ამ წერილის ასლს და გთხოვთ თქვენებური გულისხმიერებით გაეცნოთ მის შინაარს და მასში გამოთქმულ აზრ-დებულებების სისწორე და სინამდვილე შეამოწმოთ.

კარგა ხანია, რაც მე დამებადა აზრი დაწერილიყო ამ სასწავლებლის საინტერესო ვრცელი ისტორია. ამ ისტორიის შესაქმნელად, როგორც გადმომცეს, ხელშეუხებელი, მდიდარი საარქივო მასალა არსებობს დღემდის. ამ არქივს შესწავლა-დამუშავება და სათანადო მეცნიერულ-მხატვრული ჩამოყალიბება და გადმოწმება ესაჭიროება. მე, პირადად, არ შემიძლია გავკადნიერებულიყავი და ამ დიდ ეროვნულ-ლიტერატურულ საქმისათვის ხელი მომეკიდა, ჯერ ერთი იმისათვის, რომ ა აზრი ასეთი ისტორიის დაწერისათვის მე მომივიდა ძალიან გვიან, მოხუცებულობის დროს, 80 წლის ასაკში, მეორე კი, ახალგაზრდაც რომ ვყოფილვიყავი, მე ისტორიკოსი არა ვარ და არქივში მუშაობის ჩვევა და პრაქტიკა არა მაქვს.

ამისათვის, მე ჩემი აზრი ასეთი ისტორიის შექმნა-დაწერისათვის გავუზიარე ზოგიერთ ყოფილ სემინარიელ მეცნიერ მუშაკს: მაქსიმე ბერძენიშვილს, ბაკურაძეს და სხვა არა სემინარიელ ისტორიკოს ტროფიმე ფხრაძეს. ორი ჩემი ყოფილი მოწაფე, რომლებმაც სურვილი განაცხადეს და შეეძლოთ კიდევაც ემუშავათ ამ თემაზე გარდაიცვალნენ, მაგ. ბაკურაძე და კიდევ ერთი /გვარი არ მახსოვს/. დ. ხუნდაძემ კი იმუშავა და ერთი საინტე-

რესთ პერიოდი დაამუშავა და გამოსცა კიდევაც. მაგრამ, რაც დღემდის გაკეთდა, ეს მესამედი ნაწილიც არ არის იმისა, რაც საჭიროა გაკეთდეს.

ჩემი შეცდომა შეიძლება ის იყოს, რომ მე ჩემი აზრ-სურვილი ამ დიდი საქმის გაკეთების შესახებ არ გავუზიარე ზე-მოხსენებულ კალისტრატე ცინცაძეს, ქრისტეფორე ციცქიშვილს და მიხეილ ფხალაძეს- კათალიკოსებს, სემინარიის ყოფილ მოწაფეებს, რომ გამეზიარებინა, შეიძლება რომელიმე მათგანს ინიციატივა აეღო, ყოფილ სემინარიელებისათვის თავი მოეყარა, თათბირი გაე-მართა მათთან და დაევალებინა მათვის საპატიო შრომის ჩატარე-ბა. ვიმეორებ, ამ მხრივ მე ჩემ თავს დამნაშავედ ვთვლი. 92 წლის ასაკში მე მსურს ეს დანაშაული გამოვასწორო და მოგმარ-თოთ თქვენ შემდეგი თხოვნა-წინადადებით: ითავეთ და იკისრეთ ამ დიდი საქმის მეთაურ-ორგანიზატორობა, მხოლოდ ორგანიზატორული მუშაობა. მიანდეთ ვინმეს შეკრიბოს და შეიტყოს მისამართი იმ ყოფილ სემინარიელებისა, რომლებიც დღეს ცოცხლები არიან და ცხოვრობენ თბილისში ან პროვინციაში. თათბირი მოიწვიოს თქვენის თავმჯდომარეობით საკლესიო სხდომაზე. ამ კრებაზე უსათუოდ გა-მოირკვევა, თუ ვინ რას შეძლებს ამ საქმის მოგვარებაში.

ეს ჩემი მხოლოდ ზერელე, სახელდახელოდ შედგენილი პროექ-ტია. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ პროექტს თქვენ უფრო გააღ-რმავებთ და პასუხისმგებელ სასულიერო პირთ ჩააბამთ მის გან-ხორციელების საქმეში. თუ ეს იდეა განხორციელდა შთამომავლო-ბა მის ისტორიულ მნიშვნელობას საშვილიშვილოდ შეინახავს.

მე მსურს, სხვათაშორის, თქვენი იერარქიულად დიდი სახელი დიდ ისტორიულ-ეროვნულ საქმეს დაუკავშირდეს.

სიყვარულით და პატივისცემით-იპოლიტე ვართაგავა

12/3-1964 წ.
თბილისი
გ.ტაბიძის 3/5

პ. ს. – სახელდახელოდ დავასახელებ ზოგიერთ ჩვენს ყოფილ მოწაფეებს სემინარიიდან: გოზალიშვილი, სერგი ძაკარადია, თედო შენგელაშვილი, ექიმი, პროფესორი ევსიხი ციცაძე, მწერლები: სახალხო პოეტი, აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე, პოეტი ვასო გორგაძე, დოცენტები: მაქსიმე ბერძენიშვილი, ამბროსი იმჭკორველი, მწერალ-მკვლევარი ბესო გორდეზიანი, განათლების სამინისტრის სახელმძღ. განყოფილების გამგე- ტერენტი ტყემალაძე, გერონტი ჯიბლაძე, პროფ. ალექსანდრე გორგაძე. მათი ამ საქმეში გამოყენება და ჩაბმა შესაძლებელია სხვადასხვა სახით.

ზემოდ მოხსენებულ პირების საშუალებით გამოვლინდებიან სხვა ყოფილი სემინარიელები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრებნი.

ი.ვ.